საგრანტო ხელშეკრულება №2014/006

ერთი მხრივ გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF, (შემდგომში დონორად წოდებული) მისი წარმომადგენლის, ბ-ნი საშა გრაუმანის სახით, და მეორე მხრივ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში გრანტის მიმღებად წოდებული) მისი გენერალური დირექტორის, ბ-ნი ამირან გამყრელიძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება ეფუძნება საქართველოს მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შეთანხმებულ 2011-2015 წწ. ქვეყნის სამოქმედო გეგმას, ასევე გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ხელმოწერილ 2013-2014 წ.წ. ორწლიან სამოქმედო გეგმას და ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდში არსებული ფონდების გადაცემის ჰარმონიული მიდგომის (HACT) ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დონორი გრანტის მიმღებს გადასცემს ფულად სახსრებს პროექტის "ვაქცინების მართვის ეფექტურობის შეფასება" (შემდგომში "პროექტი") განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს ცივი ჯაჭვისა და იმუნიზაციის მართვის ხარისხის შეფასებას როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რაიონებისა და ცალკეულ ჯანდაცვის დაწესებულებების დონეზე. შეფასება ეფუძნება ცენტრალური სამაცივრო საწყობიდან, მისი რაიონული ფილიალებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან მონაცემთა შეგროვებას. მეთოდოლოგია და კითხვარი სტანდარტიზებულია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გლობალური მასშტაბით. ეს არის 3 კვირიანი შეფასება, რომელიც ითვალისწინებს ორი საერთაშორისო კონსულტანტის დაქირავებას რეგიონალური ოფისის მიერ; კონსულტანტები უხელმძღვანელებენ შეფასების მთლიან პროცესს, ხოლო უშუალოდ შეფასების პროცესს განახორციელებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. შესრულებული სამუშაო მოიცავს:

- სხვადასხვა მოსამზადებელ და საოპერაციო ტიპის საქმიანობას როგორიცაა, მაგ. კითხვარის ადაპტირება და თარგმნა;
- საველე მუშაკების ტრეინინგს;
- კვლევის პრე-ტესტის ჩატარებას;
- უშუალოდ საველე სამუშაოების განხორციელებას;
- მიღემულ მონაცემთა სისტემაში შეყვანასა და ანალიზს;

2.2. გრანტის მიმღები პასუხისმგებელია პროექტის მართვაზე, განხორციელებაზე, ხარისხის კონტროლზე, შიდა მონიტორინგსა და პროექტის შედეგების შეფასებაზე, წერილობით და